პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 25 ნოემბერი 1941 წ. № 279 (6284) ფასი 15 კაპ.

არავითარი დაუდევრობა, გავაძლიეროთ სიფხიზლე და ორგანიზებულობა

მტერი გააფთრებით მოიწევს მოსკოვისაკენ, თანდათან ახლოვდება ფრონტის მრისხანე სუნთქვა. ბრძოლები დღე და ღამ უფრო და უფრო მზარდი გამძაფრებით სწარმოებს. პირსისხლიანმა მტარვალმა ჰიტლერმა მთელი თავისი სატანკო დივიზიების ნახევარზე მეტი ახალ შემოტევაზე გამოუშვა. მიუხედავად უდიდესი დანაკლისისა, გერმანელი ფაშისტი არამზადები გამმაგებულად მოძვრებიან წინ. მათ მოერეკება ყინვა, საშინელი აჩრდილი ზამთრისა, რომელიც უფრო და უფრო ახლოვდება, შიში იმ ამბებისა, რომლებიც მოსალოდნელია ჰიტლერის გერმანიის არამტკიცე ზურგში. მათ მოერეკება შიში იმ ახალი სარეზერვო არმიების წინაშე, რომლებსაც ჩვენ ვქმნით, შეიარაღების იმ მზარდი ნაკადის წინაშე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან მოგვდის. გერმანელ ფაშისტთა ურდოები მთელ ძალებს ძაბავენ, რათა სწორედ ამჟამად გამოიჭრან მოსკოვისაკენ.

მიუხედავად მნიშვნელოვანი სიჭარბისა ადამიანთა მხრივ და, რაც მთავარია, ტანკების მხრივ, რომლებიც მტერს თავის განკარგულებაში ჰყავს, ჩვენი მამაცი ჯარები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ, დიდ ზარალს აყენებენ გაბოროტებულ მტერს და ანელებენ მისი წინსვლის ტემპებს. მტერი, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც წინ მოიწევს. უნდა აღვიაროთ, რომ ფრონტის ცალკეულ უბნებზე შექმნილი მდგომარეობა დაძაბულია.

ამ მრისხანე დღეებში არ შეიძლება გამოვიჩინოთ არც უზრუნველობა, არც თვითდამშვიდება. დადგა დღეები, როდესაც ყოველი მოსკოველი, მოსკოვში მცხოვრები ყოველი საბჭოთა მოქალაქე თავს ფრონტის მებრძოლად უნდა გრძნობდეს. შესვენება, რაც ოქტომბრის სისხლისმღვრელ ბრძოლებს მოჰყვა, დამთავრდა. მოსკოვისათვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. ოქტომბრის დღეებმა ბევრი რამ ასწავლა მოსკოველებს. მათ გამოიყენეს დრო, რათა გაემაგრებინათ მოსკოვი, თავდაცვის ზღუდეები შეექმნათ მის მისადგომებზე. მოსკოვი და მოსკოვის მიდამოები სავსეა ტანკსაწინააღმდეგო ღობურებით, ბოძკინტებით, ბარიკადებით. მოსკოვის სახლები ბასტიონებად უნდა გადავაქციოთ. ახლა დადგა მომენტი, როდესაც მოსკოვის დაცვა მტრისათვის გაუვალი უნდა გახდეს. ჩქარი, სწრაფი, ჭეშმარიტად საომარი დროის ტემპებით უნდა დავამთავროთ მოსკოვის მიუვალ სიმაგრედ გადაქცევა.

ოქტომბრის დღეებში გაკეთებულს თავის ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგი სტალინი აფრთხილებდა ყველა საბჭოთა ადამიანს, რომ სერიოზული საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს ქვეყანას, არათუ არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, უფრო გაძლიერდა. საჭიროა, რომ ამჟამად უფრო, ვიდრე ოდესმე, შევიგნოთ ამ სიტყვების მთელი ღრმა მნიშვნელობა. საბჭოთა ადამიანები შეჩვევიან და იციან საფრთხისათვის თვალის გასწორება. ისინი დარწმუნებული არიან თავის ძალაში, თავისი საქმის სიმართლეში და შესძლებენ სძლიონ ეს საშიშროება, შესძლებენ დაიცვან მშობლიური მიწა-წყალი და საყვარელი მოსკოვი გაბოროტებულ და მძვინვარე მტრისაგან.

რაც უფრო რთულია ვითარება ფრონტზე, მით უფრო მტკიცე უნდა იყოს დისციპლინა ჯარის ნაწილებსა და ზურგში; გამძლეობა, დისციპლინა, უსასტიკესი რევოლუციური წესრიგი მტრის განადგურების უცილობელი პირობაა. მტერი ვერაგი და ცბიერია. იგი სარგებლობს ჩვენი რიგების სულ მცირე თვითდამშვიდებისა და უდარდელობის გამოვლინებით. სწორედ ამიტომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა გავაძლიეროთ სიფხიზლე, სასტიკად მკაცრი უნდა იყოს რევოლუციური წესრიგი, ულმობლად მტკიცე უნდა იყოს დისციპლინა. მტერი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა პანიკა დასთესოს ჩვენს რიგებში, არევ-დარევა შეიტანოს ჩვენს ზურგში. ამ მიზნით იგი ჰგზავნის პროვოკატორებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს.

მტრის ამ მუხანათურ ოინებს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ნამდვილი ბოლშევიკური ორგანიზებულობა, უაღრესი სიფხიზლე, არ უნდა დავუშვათ არავითარი პანიკა. გამოვააშკარაოთ პროვოკატორები, დივერსანტები, ჯაშუშები ყველგან, სადაც კი ისინი შეეცდებიან ბუდე გაიჩინონ! ფხიზლად ვადევნოთ თვალყური მტრის ოინებს, გვერდი არ ავუხვიოთ არცერთ საეჭვო მოვლენას, სანამ ბოლომდე არ გამოვარკვევთ, თუ რას წარმოადგენს იგი.

საბჭოთა ხალხი ასე მჭიდროდ დარაზმული ჯერ არასოდეს არა ყოფილა. ჩვენს ქვეყანაში არ არის და არც შეიძლება იყოს „მეხუთე კოლონა". მით უფრო ადვილია მტრის აღმოჩენა. როგორც სამხედრო ნაწილში გუშაგი არ შეუშვებს უცხოს, სწორედ ასე თვითეული საწარმოს, თვითეული სახლის კოლექტივი ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს, რომ მის რიგებში არ შევიდეს მტრის ნაშიერი. გავაძლიეროთ სიფხიზლე! ყველა საბჭოთა ადამიანებო, უფრო მახვილად ადევნეთ თვალ-ყური მტრის ოინებს! მხოლოდ მოსახლეობის ენერგიულ საყოველთაო მონაწილეობას მტრის აგენტურასთან ბრძოლაში შეუძლია უზრუნველჰყოს მტრის იმ აგიტატორთა გამოაშკარავება, რომელნიც პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ, მტრის პირდაპირი აგენტების, დივერსანტების, პანიკიორების, წარმოების დეზორგანიზატორების გამოაშკარავება. მათთვის არ არის და არც შეიძლება იყოს ადგილი ჩვენს წრეში.

რაც უფრო ძლიერია სიფხიზლე, რაც უფრო სასტიკია დისციპლინა და რევოლუციური წესრიგი, მით უფრო მტკიცეა ზურგი. რაც უფრო მტკიცეა ზურგი, მით უფრო მაგარია ფრონტი. საშიშროება დიდია, მაგრამ ამ საშიშროების შეგნებამ უნდა გააათკეცოს ჩვენი ძალები. ჩვენი თავდაცვა მტკიცეა და კიდევ უფრო მტკიცე უნდა გახდეს. ყველანი გამოვიდეთ მშობლიური მოსკოვის დასაცავად! ყველანი თავის საგუშაგოზე უნდა იყვნენ მრისხანე განსაცდელის ამ მძიმე დღეებში. გერმანელი დამპყრობნი თავის უკანასკნელ ძალებს ძაბავენ. **საჭიროა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, შევაჩეროთ მტერი, დავიცვათ მოსკოვი და ამით დასაბამი მივცეთ ჰიტლერის არმიის განადგურებას.**

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მნიშვნელოვან ცნობას, რომელიც შეეხება ფრონტის ერთერთს სამხრეთის მიმართულებას დონის როსტოვის დასავლეთით. ჩვენი ჯარები გადავიდნენ კონტრშეტევაზე და 60 კილომეტრზე უკუაგდეს გერმანელები, გაანადგურეს ჰიტლერის რჩეული ჯარის ნაწილები, გაჟლიტეს 7.000-ზე მეტი ფაშისტი ავაზაკი. ასეთივე ბედი მოელის პირსისხლიანი ჰიტლერის მთელს მძარცველთა არმიას. მტერი მოისწრაფვის მოსკოვისაკენ. მტერი ვერ უნდა შემოვიდეს. და იგი ვერც შემოვა!

„პრავდის" მოწინავე, 24/XI.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელ და უშვილო მოქალაქეთა გადასახადის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მუხლი 1.

დაწესდეს 1941 წლის 1 ოქტომბრიდან სსრ კავშირის მარტოხელ და უშვილო მოქალაქეთა გადასახადი.

მუხლი 2.

გადასახადით იბეგრებიან მარტოხელი და ოჯახიანი მოქალაქენი, რომელთაც შვილები არა ჰყავთ: მამაკაცები 20 წელზე მეტი ასაკიდან 50 წლამდე და ქალები 20 წელზე მეტი ასაკიდან 45 წლამდე.

მუხლი 3.

გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდებიან:

ა) სამხედრო მსახურნი და მათი ცოლები;

ბ) საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლენი: მამაკაცები 25 წლის ასაკამდე და ქალები 23 წლის ასაკამდე;

გ) პენსიონერები;

დ) ორივე სქესის პირნი, თუ, საექიმო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, მათთვის ან მათ მეუღლეთათვის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შეუძლებელია შვილიერება.

მუხლი 4.

მუშათა და მოსამსახურეთა და საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულთა გადასახადის გამოანგარიშებას სწარმოებები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები აწარმოებენ წინა თვის მათი ხელფასის მიხედვით და უქვითავენ მიმდინარე თვის პირველი ნახევრის ხელფასიდან შემდეგი რაოდენობით:

ა) როცა თვიური ხელფასი 150 მანეთს შეადგენს — თვეში 5 მანეთის რაოდენობით.

ბ) როცა თვიური ხელფასი 150 მანეთს აღემატება — ხელფასის 5 პროცენტის რაოდენობით.

მუხლი 5.

ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა გადასახადის გამოანგარიშებას სწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები აწარმოებენ მათი ხელფასის 5 პროცენტის რაოდენობით და უქვითავენ ხელფასის ყოველი გაცემისას.

მუხლი 6.

დანარჩენ მოქალაქეთ (ამ ბრძანებულების 4 და 5 მუხლებით გათვალისწინებულთა გარდა) გადასახადი ჰხდებათ:

ა) მოქალაქეთ, რომლებიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან, მიმდინარე წელს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი მათი შემოსავლის 5 პროცენტის რაოდენობით;

ბ) მოქალაქეთ, რომლებიც კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხ მეურნეთა მეურნეობის შემადგენლობაში შედიან, — წელიწადში 100 მანეთის რაოდენობით;

გ) მოქალაქეთ, რომლებიც საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრებიან და სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავ მეურნეობათა შემადგენლობაში არ შედიან, წელიწადში 60 მანეთის რაოდენობით.

მუხლი 7.

მოქალაქენი, რომლებსაც დაქირავებით მუშაობისაგან და ლიტერატურასა და ხელოვნებაში მუშაობისაგან მიღებული ხელფასის გარდა, აქვთ საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრავი სხვა შემოსავალი, მუშაობის ადგილას დაბეგვრის მიუხედავად, გადასახადით იბეგრებიან ამ ბრძანებულების 6 მუხლის წესით.

მუხლი 8.

6 მუხლის წესით გადასახადით დაბეგვრას აწარმოებენ სარაიონო (საქალაქო) საფინანსო განყოფილებანი გადამხდელის ადგილსაცხოვრებლის მიხედვით, ხოლო თუ გადამხდელი საშემოსავლო გადასახადით იბეგრება სხვა რაიონში (ქალაქში), — საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ადგილას.

მუხლი 9.

6 მუხლში ჩამოთვლილი გადამხდელნი გადასახადს თანაბარ ნაწილებად იხდიან 4 ვადად: 1 აპრილისათვის, 1 ივლისისათვის, 10 ოქტომბრისათვის და 15 დეკემბრისათვის.

მუხლი 10.

დაწესდეს 1941 წლისათვის გადასახადის გადახდის ვადა 1941 წლის 1 დეკემბერი.

მუხლი 11.

როცა გადასახადით დაბეგრილ მოქალაქეებს შვილები შეეძინებათ, გადასახადის გადახდევინება წყდება, ბავშვის დაბადების შემდეგ გადასახადის შეტანის მომდევნო ვადიდან დაწყებული.

მუხლი 12.

ამ ბრძანებულების შეფარდების ინსტრუქციას გამოსცემს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

1941 წლის 21 ნოემბერი.

დარტყმა მტრის ჯარებზე

სამხრეთის ერთ-ერთი მიმართულებით, დონის როსტოვის დასავლეთით, წითელი არმიის მიერ დაწყებული კონტრშეტევის შედეგად 1941 წლის 20-23 ნოემბრის ბრძოლებში განადგურებულია გერმანელთა 49-ე სამთომსროლელი კორპუსი, ვიკინგის „სს" დივიზია და მე-16 სატანკო დივიზია.

ამ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 111 ქვემეხი, 55 ტანკი, 83 ტყვიამფრქვევი, 36 ნაღმსატყორცნი, 365 ავტომანქანა, 115 მოტოციკლი და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 7 ათასზე მეტი მოკლული.

აღნიშნულ ბრძოლებში ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ჩამოვაგდეთ გერმანელთა 46 თვითმფრინავი.

23 ნოემბრის დღის ბოლოს წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებიც მტერს სდევნიან, იამოსავალი პოზიციებიდან წინ წაიწიეს 60 კილომეტრით.

(საბჭოთა საინფორმაციო ბიურო).

მეთაურ ფედიუნინსკის ქვეგანაყოფებს წარმატებით მიაქვთ იერიში მტერზე

ლენინგრადის ფრონტი, 21 ნოემბერი (საკდესი). უკანასკნელ დღეებში ამხ. ფედიუნინსკის ქვეგანაყოფები წარმატებით იბრძვიან გერმანიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ. გერმანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ, ხოლო ცალკეულ ადგილებში კონტრიერიშებზე გადმოსვლასაც ცდილობენ. პუნქტი ბ. მოკლე ხნის განმავლობაში რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. ამ დროის განმავლობაში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გერმანელებს რამდენიმე დასახლებული პუნქტი წაართვეს.

ამხ. ფედიუნინსკის ქვეგანაყოფის უბანზე გაჩაღებულ ბრძოლებში ფაშისტებმა უკანასკნელ დროს მარტო 3 დღის განმავლობაში 1.000 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

გეგმების შესრულება

მახარაძე („კომუნისტის" კორ.). რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების 1941 წლის გეგმა 102,5 პროცენტით შეასრულა. მეაბრეშუმეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს მაღალხარისხოვანი პარკი.

პარკის დამზადება გრძელდება.

* * *

მახარაძის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის 1941 წლის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.547.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლისა, მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 12.559.300 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, გეგმის 100,1 პროცენტი.

* * *

მცხეთა („კომუნისტის" კორ.). რაიონმა მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩააბარა 9.352 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. წლიური გეგმა შესრულებულია 118,6 პროცენტით. პირველი გამოკვების პარკის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 111,9 პროცენტით, მეორისა—190,3-ით, მესამისა—114,3 პროცენტით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 ნოემბრის დილის ცნობა

22 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

სამხრეთის ფრონტზე მოქმედმა ჩვენმა მფრინავებმა 20 ნოემბერს მოსპეს მტრის 47 ტანკი, 392 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და საომარი მასალითურთ, 115 საზიდარი სხვადასხვა ტვირთითურთ, შტაბის 7 ავტობუსი, 6 ავტომანქანა საზენიტო-სატყვიამფრქვევო დანადგარებითურთ, 10 ქვემეხი და გაჟლიტეს მტრის 1.600 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამხ. ლოპატინის მებრძოლებმა, რომლებიც სამხრეთის ფრონტზე მოქმედებენ, ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში მტრის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლების დროს მოსპეს მტრის 460 ავტომანქანა, 320 საზიდარი საომარი მასალითა და სამხედრო ქონებითურთ, 37 ქვემეხი, 20 დაზგის ტყვიამფრქვევი, 43 მოტოციკლი და მოწინააღმდეგის 3.200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ამხ. პოლენოვის ჯარის ნაწილმა წარმატებით მოიგერია გერმანელთა გააფთრებული იერიშები. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200 ჯარისკაცი და ოფიცერი, 11 ნაღმსატყორცნი, 2 ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, 12 ტყვიამფრქვევი და მრავალი ავტომატი.

* * *

ტყვედ წამოყვანილი გერმანელი ჯარისკაცების ჩვენებანი მოწმობენ, რომ უფრო და უფრო ეცემა გერმანელთა ჯარის საბრძოლო სულისკვეთება. ტყვე უნტერ-ოფიცერმა ჰენრიხ ვასონგმა განაცხადა: „პირველი სიცივეები უკვე ძლიერ დაეტყო ჯარისკაცთა განწყობილებას. ასეთ ყინვაში ბრძოლა მეტად ძნელია. თბილი ტანსაცმელი ჩვენ არა გვაქვს. უკვე მრავალი კვირაა, რაც თეთრეული არ გამოგვიცვლია და მკბენარი გვჭამს". მე-14 სამთო მსროლელი დივიზიის მე-13 სამთო მსროლელი პოლკის ტყვე ჯარისკაცი ვერნერ მარინგენი აღნიშნავს: „ჯარისკაცები ხედავენ, რომ წითელი არმიის წინააღმდეგობა განუწყვეტლივ ძლიერდება და რომ გერმანელები ვერ დასძლევენ რუსეთს". 276-ე ქვეითი პოლკის ტყვე ჯარისკაცმა პეტერ ზაიცელმა განაცხადა: „ამ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ჩვენს პოლკს ერთობ ცუდად ამარაგებდნენ, სურსათს ადგილობრივ შოულობდნენ, ესე იგი ძალით ართმევდნენ გლეხებს. ჯარისკაცები სასოწარკვეთილი არიან, რადგან ომის ბოლოს ვერა ხედავენ. ბევრ მათგანს ფარაჯაც კი არა აქვს. თეთრეული არ გვგვაჩნია. ყველა ჯარისკაცსა და ოფიცერს მკბენარი ასევია". მე-13 სამთო მსროლელი პოლკის მე-7 ასეულის უნტერ-ოფიცრის, სანიტარ კარლ სტოინსის სიტყვით, ჯარის ნაწილებში ავადმყოფთა რიცხვი კატასტროფულად მატულობს. „მარტო ჩვენს ასეულში,—ამბობს ტყვე,— ამ უკანასკნელ დღეებში 13 ჯარისკაცი გახდა ავად ანგინით, გრიპითა და ბრონქიტით". 236-ე დივიზიის ალალის უნტერ-ოფიცერმა ოტო პილერტმა განაცხადა: „ჯარისკაცებს აღარა სჯერათ, რომ ეს ომი მალე დამთავრდება. ბევრი იმ აზრისაა, რომ რუსეთის დიდი სივრცეები შთანთქავენ გერმანელთა არმიას, ხოლო საბჭოთა ჯარები და პარტიზანები თანდათან გაჟლეტენ მას".

* * *

სარატოვის ოლქის მშრომელები თავდადებით მუშაობენ და ეხმარებიან წითელ არმიას ფაშისტ ოკუპანტთა გაჟლეტაში. ოლქის ათობით საწარმომ ვადამდე შეასრულა წლიური დავალება. სარატოვის № 2 საფქვავმა ქარხანამ წლიური პროგრამის გადამეტებით გამოუშვა 6 ათასზე მეტი ტონა პირველი ხარისხის პურის ფქვილი. № 1 კარაქის ქარხნის მუშაკებმა გადამეტებით შეასრულეს წლიური დავალება და ვალდებულება იკისრეს წლის დამლევისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 500 ტონა კარაქი. საწარმოებში ფართოვდება პატრიოტების მოძრაობა ნორმების გადამეტებით შესრულებისათვის. სარატოვის გემთსარემონტო ქარხნის საქვაბე და სამჭედლო საამქროების თვითეული მუშა ახლა ორ ნორმას ასრულებს. ქარხნის მჭედლები — ამხ. სტროგოვიჩი, ლოშკარევი და იურლოვი შეიდ-შეიდ ნორმას ასრულებენ ცვლაში. სარატოვის კომბაინის ქარხნის ბევრმა მუშამ სარეკორდო გამომუშავებას მიაღწია. მეავტომატე ამხ. რომანცევმა დავალება 347 პროცენტით შეასრულა. 1-დან 19 ნოემბრამდე ზეინკალი პომოროვი ცვლაში საშუალოდ სამნახევარ ნორმას ასრულებდა.

ოლქის ბევრმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების წლიური გეგმა შეასრულა. ნოვოუზენსკის, ალექსანდროვ გაის, დუხოვნიცკოესა და სხვა რაიონების არტელების კოლმეურნეები თავიანთ ჭარბი პურის ნაწილს აბარებენ სამშობლოს თავდაცვის ფონდში.

ნოვოუზენსკის რაიონის არტელ „კრასნი ბოეცის" კოლმეურნეებმა უკვე შეიტანეს 180 ცენტნერი პური, ხოლო ჩაპაევის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა — 230 ცენტნერი. ნოვოუზენსკის რაიონის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს დამატებით მიჰყიდონ სახელმწიფოს 30.000 ცენტნერი პური. 10 ათასამდე ცენტნერი უკვე მიტანილია დასამზადებელ პუნქტებში.

23 ნოემბრის საღამოს ცნობა

23 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა ფრონტის კლინის, ვოლოკოლამსკის, ტულისა და როსტოვის (დონის როსტოვი) უბნებზე.

22 ნოემბრის განმავლობაში მოსპობილ იქნა გერმანელთა 10 თვითმფრინავი. ჩვენ 4 თვითმფრინავი დავკარგეთ.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მტრის 3 ტრანსპორტი.

* *

22 ნოემბერს ჩვენმა ავიაციამ მოსპო გერმანელთა 16 ტანკი, 7 ჯავშნიანი მანქანა, 400-ზე მეტი ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და საომარი მასალითურთ, 14 ავტოცისტერნი საწვავი, 10 ქვემეხი და გასწყვიტა მტრის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სამხრეთის ფრონტის ორ უბანზე ჩვენი ჯარის ნაწილებმა 21 ნოემბერს მტრის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში მოსპეს მტრის 50 ავტომანქანა, 150-მდე საზიდარი, 14 ქვემეხი და გაჟლიტა ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მტრის 10 ტანკი, 19 ქვემეხი, 87 ავტომანქანა, 52 მოტოციკლი, მრავალი ავტომატი, ტყვიამფრქვევები და საომარი მასალა.

* * *

ამხ. ზამიროვსკის ნაწილმა, რომელიც ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, ორი თვის ბრძოლებში, არასრული ცნობებით, გაჟლიტა 3 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამხ. ზამიროვსკის მებრძოლებმა ორ თვეში მოსპეს გერმანელთა 11 ტანკი, საომარი მასალების 2 საწყობი, ჩამოაგდეს მტრის 2 თვითმფრინავი და ხელთ იგდეს 9 საველე ქვემეხი, 22 ნაღმსატყორცნი, 26 დაზგისა და 104 ხელის ტყვიამფრქვევი, მტრის 3 პოლკის დროშა, მრავალი შაშხანა, ავტომატები, ყუმბარები, ნაღმები და ვაზნები.

* * *

დღითი-დღე ძლიერდება მოსკოვის ოლქის პარტიზანების აქტივობა. ამ უკანასკნელ რამდენიმე დღეში, არასრული ცნობებით, მათ მოსპეს 49 ავტომანქანა მტრის ქვეითი ჯარითა და სამხედრო ტვირთითურთ, 3 თვითმფრინავი, რამდენიმე ტანკი და ჯავშნიანი მანქანები, 8 ალალი ყუმბარები, შტაბის 6 ავტობუსი, 6 ავტოცისტერნი საწვავი, ააფეთქეს 5 დიდი ხიდი და გაჟლიტეს 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და 61 ოფიცერი.

ამხ. პ-ს რაზმის პარტიზანებმა ტანკსაწინააღმდეგო გრანატებით მწყობრიდან გამოიყვანეს ფაშისტების საშუალო ტანკი. ამ უკანასკნელ დღეებში რაზმმა სამი ხიდი ააფეთქა მტრის გაცხოველებული მოძრაობის გზებზე. პარტიზანები ამხ. შ-ს მეთაურობით 11 ნოემბერს ჩასაფრდნენ და ნაღმებით ააფეთქეს ჯავშნიანი მანქანა და 2 სატვირთო მანქანა გერმანელი ჯარისკაცებითურთ. საბჭოთა პატრიოტებმა აფეთქებითა და მარჯვე სროლით გაჟლიტეს მტრის 30 ჯარისკაცი. წარმატებით მოქმედებს ამხ. ა-ს პარტიზანების რაზმი. ამ რაზმმა ნოემბრის შუა რიცხვებში მოსპო 18 საზიდარი სამხედრო ტვირთითურთ და გასწყვიტა 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მტრის ალალს გაბედულად დაესხა თავს რაზმი ამხ. ხ-ს ხელმძღვანელობით. პარტიზანებმა ააფეთქეს 5 ავტომანქანა და გაჟლიტეს 48 გერმანელი ჯარისკაცი და 5 ოფიცერი.

* * *

გერმანელმა ფაშისტებმა შანტაჟისა და მუქარის შემწეობით ესპანეთიდან ჩამოიყვანეს ეგრეთწოდებული „ცისფერი დივიზია", რომელიც ავანტიურისტებისაგან, დამნაშავეებისაგან და ყოველგვარი სხვა ნაძირალებისაგან შესდგება. ჰიტლერმა „ცისფერი დივიზია" ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტზე გამოგზავნა, რათა შეეცხო გერმანიის ჯარების უდიდესი ზარალი ამ უბანზე. „დივიზიას" პირველ ბრძოლებშივე უდიდესი ზარალი მოუვიდა. ჩვენი ჯარის ნაწილებმა ხელთ იგდეს დივიზიის მეთაურის, ესპანელი გენერლის გრანდესის მოხსენება გერმანიის საარმიო კორპუსის მეთაურისადმი. ამ მოხსენებაში გრანდესი სჩივის იმის გამო, რომ დივიზია პირველ ბრძოლაშივე საფუძვლიანად შეზბერტყეს და უდიდესი ზარალი მიაყენეს ადამიანთა მხრივ. ასეულების უმრავლესობაში მხოლოდ 40 ჯარისკაცი დარჩა თვითეულში. ამის გამო პანიკა დაიწყო ქურდებსა, მკვლელებსა, მძარცველებსა და სხვა დამნაშავეთა შორის, რომლებიც შეკრებილი არიან „ცისფერ დივიზიაში". ცოცხლად გადარჩენილი „მოხალისენი" ცდილობენ პირველ მარჯვე შემთხვევაშივე შინ გაიპარონ, რადგან იოლი შოვნის იმედი არ გაუმართლდათ. გენერალი გრანდესი ემუდარება გერმანელებს — თბილი ნივთები, არაყი და პური გამომიგზავნეთ ჩემი „მეომრების" მხნეობის შესანარჩუნებლადო. გერმანიის გენერალმა ფონ-ლეებმა ამ თხოვნის პასუხად „ცისფერი დივიზიის" სარდლობას გაუგზავნა თავისი „სამძიმარი მისი დიდი ზარალის გამო".

* * *

გერმანელი ოკუპანტები ბალტიისპირეთის მოსახლეობის ძარცვას განაგრძობენ. ვილნოდან, კაუნასიდან, ლიბავიდან, რიგიდან და სხვა ქალაქებიდან გერმანიაში გააქვთ ძვირფასი მოწყობილობა, მოსახლეობისაგან ჩამორთმეული ქონება, ხელოვნების საგნები, სურსათის მთელი მარაგი. ბევრ სასოფლო რაიონში გერმანიის არმიის საჭიროებისათვის რეკვიზირებულია ყველა ცხენი, ტრაქტორები, ავტომანქანები, ძრავები და ველოსიპედები. ამ დღეებში გერმანელებმა რიგაში მოაწყეს მასობრივი ჩხრეკა; მათ მოიტაცეს ყველა ავტომანქანა და ცხენები, რომლებიც კი ჭურებში გამოჩნდნენ. მოსახლეობის გაძარცვის შედეგად ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ქალაქებსა და სოფლებში გამეფებულია შიმშილი.

24 ნოემბრის დილის ცნობა

23 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

ჩვენმა სატანკო ბრიგადამ, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, მტრის წინააღმდეგ 3 დღის ბრძოლაში მოსპო მოწინააღმდეგის 15 ტანკი, 5 ჯავშნიანი მანქანა, მრავალი სატყვიამფრქვევო და ნაღმსატყორცნი ბატარია და გაჟლიტა ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამხ. ზახარკინის საარტილერიო ნაწილმა 22 ნოემბერს ღამით მოსპო მოწინააღმდეგის 3 ნაღმსატყორცნი ბატარია, მიწური საცეცხლო წერტი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებითურთ და ააფეთქა საომარი მასალის დიდი საწყობი.

* * *

უფროსი სერჟანტი ამხ. კნიაზევი, 5 წითელარმიელთან ერთად დაზვერვაში ყოფნისას, გარშემორტყმული აღმოჩნდა. გულადმა წითელარმიელებმა ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგეს, მოსპეს 12 ფაშისტი ჯარისკაცი, ხელთ იგდეს ერთი ყუთი ნაღმები, მრავალი ლენტა ვაზნებით და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

დიდ აქტივობას იჩენენ ტაგანროგის მუშათა პარტიზანული რაზმები.

16 ნოემბერს დიდი ხანძარი და აფეთქება მოხდა ნავსადგურის საწყობში, სადაც ფაშისტებს მოწყობილი ჰქონდათ სხვადასხვა საომარი საჭურველის დიდი ბაზა. საწყობი და შიგ შენახული საჭურველი მთლიანად დაიწვა. სადგურ ნ-სთან რკინიგზელმა პარტიზანებმა ცეცხლი წაუკიდეს 3 ავტოდრეზინს სხვადასხვა ინსტრუმენტებითურთ და მწყობრიდან გამოიყვანეს ყველა ისარი.

გერმანელ ჯარისკაცთა რაზმი, რომელიც სადგურში იყო, ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია პარტიზანებისათვის. სროლის დროს მოსპობილ იქნა 13 ფაშისტი. მეთევზეთა პარტიზანული რაზმი, თევზმჭერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ჩ-ს მეთაურობით, თავს დაესხა მტრის ცხენის ალალს. პარტიზანებმა გერმანელთა დამცველი რაზმი დახოცეს და მთლიანად მოსპეს 17 საზიდარი სურსათი. ნოემბრის 5 დღის განმავლობაში ტაგანროგის საგარეუბნო რაიონებში პარტიზანებმა დახოცეს 80-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დასწვეს მტრის 8 სატვირთო და 3 მსუბუქი მანქანა, მოსპეს 13 გერმანელი მოტოციკლისტი და ცხენოსანი პატრული 5 ჯარისკაცის შემადგენლობით.

* * *

უამრავი ფაქტი მოწმობს ჰიტლერის გერმანიის ადამიანთა რეზერვების გამოლევას. უდიდესი ზარალი ფაშისტებს იძულებულს ხდის ფრონტზე ჰგზავნონ პატიმრები, ინვალიდები, პოლიციელები, აგრეთვე აღმოსავლეთის ფრონტზე გამოჰგზავნონ ოკუპირებულ ქვეყნებში დარჩენილი ჯარის ნაწილები. ტყვე გერმანელმა ჯარისკაცმა კარლ ფალცმა გვიამბო: „მე მსჯავრდადებული ვიყავი და ვიმყოფებოდი იმელანდის სატუსაღო სახლში, სადაც 1.600 პატიმარი იყო. ამას წინათ ბევრი პატიმარი, მათ შორის მეც, ფრონტზე გამომგზავნეს". მარიამ ლაიბორდი ვორცბიურგიდან სწერს თავის ქმარს: „ახლა მთელი ჩვენი პოლიცია რუსეთში გამოჰგზავნეს". ეფრეიტორი ტეოდორ ჰაინცი მშობლებს სწერს: „ჩვენს შორის მოხუცებიც არიან და ყმაწვილებიც. მე მგონია, ყველა მიჰყავთ განურჩევლად". პირწავარდნილ ფაშისტ ბანდიტს ჰენრიხ რედერს, რომელიც მოკლული იყო დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე, აღმოაჩნდა გაუგზავნელი წერილი, რომელშიც იგი სწერს: „ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს სახელოვან ნაწილს ავსებენ დოყლაპია ბახალებით, ბრიუტიანი, კოჭლი და დამპალი ინვალიდებით. თუ ასე გაგრძელდა — ვეღარავინ იომებს".

* * *

თავდადებით მუშაობენ საბჭოთა რკინიგზელები, რომლებიც ფრონტს აწვდიან საჭირო ტვირთს. ყაზანის გზაზე ომამდე ლუნინელ მეორთქლმავლეთა რამდენიმე ათეული ბრიგადა იყო, ახლა ისინი ასობით არის. გზის მემანქანეთა დიდ უმრავლესობას მძიმეწონიანი მატარებლები დაჰყავს ტექნიკური სიჩქარის გადამეტებით. კრასნაია უფის მემანქანეებმა—ამხ. კუზნეცოვმა, ორლოვმა და პავლოვმა ოქტომბერში სათბობი ნორმაზე 75 ტონით ნაკლები დახარჯეს. არზამასის დეპოში მემანქანეთა—ამხ. ტიხონოვისა და ეგოროვის ბრიგადებმა ომის განმავლობაში 100 ტონა ქვანახშირი დაზოგეს. მუშაობის ლუნინურ მეთოდებს ფართოდ იყენებენ წელიანდაგენი. ჩერნუშინსკის სალიანდაგო დისტანციაში 195 გზის მეთვალყურე საკუთარი ძალებით ასრულებს მთელს მიმდინარე რემონტს. კრასნაია უფის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირმა ამხ. ისუპოვმა ამ უკანასკნელ თვეებში დამოუკიდებლად შეაკეთა 170 შპალი. ლიანდაგის მისი უბანი სანიმუშო მდგომარეობაშია.

24 ნოემბრის საღამოს ცნობა

24 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

23 ნოემბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია გერმანელთა 19 თვითმფრინავი. ჩვენ 7 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

23 ნოემბრის განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე მოქმედმა ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 39 ტანკი, 7 ჯავშნიანი მანქანა, 760 ავტომანქანა ჯარითურთ, 5 ავტოცისტერნი საწვავი, 25 ქვემეხი, 100-ზე მეტი საზიდარი ყუმბარებითურთ და გაჟლიტეს ორი პოლკი მტრის ქვეითი ჯარი და ოცეულზე მეტი ცხენოსანი ჯარი.

* * *

ამხ. სკრიპნიკის ქვეგანაყოფმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე მოქმედებს, გაანადგურა გერმანელთა „სს" ბატალიონი. გაჟლეტილია მოწინააღმდეგის 500 ჯარისკაცი და ოფიცერი. მოკლულთა შორის არიან ბატალიონის მეთაური, 38 ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი.

ხელთ ვიგდეთ ბატალიონის შტაბის დოკუმენტები, დროშა, რადიოსადგური, 3 ქვემეხი, 66 ყუთი ყუ-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(დასასრული)

ზარა, რამდენიმე ათეული ათასი ვაზნა და სხვა ნადავლი. მეორე ჩვენმა ნაწილმა ამ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში გაჟლიტა ათასზე მეტი გერმანელი და ხელთ იგდო სამი ტანკი, 9 ქვემეხი, 49 ტყვიამფრქვევი, 13 ნაღმსატყორცნი და დიდძალი ყუმბარა და ვაზნა.

* * *

გააფთრებულ ბრძოლებში მტრის წინააღმდეგ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე მოქმედმა ჩვენი ჯარის ნაწილებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 4 ტანკი, 8 ავტომანქანა და გაჟლიტეს 300-ზე მეტი გერმანელი. ჩვენი ცხენოსანი ჯარის ნაწილმა ფრონტის ამავე უბანზე მოსპო 2 ქვემეხი, 10 ავტომანქანა და გაჟლიტა მტრის 500 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მთელი ფრონტის მანძილზე მოწინააღმდეგის ზურგში ძლიერდება პარტიზანთა რაზმების მოქმედება. ფრონტის კალინინის მიმართულებით ამ უკანასკნელ დღეებში პარტიზანთა რაზმებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის 8 ავტომანქანა სამხედრო მასალითა და იარაღითურთ, მოსპეს 3 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 15 ცხენის საზიდარი, ერთი ოცეული გერმანელი ჯარისკაცები და ერთი რადიოსადგური. ვოლოკოლამსკის მიმართულებით მეთხილამურე პარტიზანებმა მოსპეს მოწინააღმდეგის ცხენის ალალი სამხედრო მასალითურთ, 2 ავტომანქანა და 42 გერმანელი ჯარისკაცი, რომელნიც თავის ნაწილებს ჩამორჩენოდნენ, ააფეთქეს გერმანელთა ტანკი, რომელიც გზაში გახირულიყო. ტულის ოლქის პარტიზანებმა დანაღმეს გზის უბანი, რომლითაც ფაშისტებს არტილერია და სამხედრო მასალა მიჰქონდათ მოწინავე ხაზებზე. ერთი დღის განმავლობაში დანაღმულ უბანზე მოსპობილ იქნა 2 ქვემეხი და ერთი სატვირთო მანქანა სამხედრო მასალითურთ. დიდ წარმატებას მიაღწიეს ამხ. გ-ს პარტიზანული რაზმის მებრძოლებმა. მათ ცეცხლი წაუკიდეს გერმანელთა საზვერავ თვითმფრინავს, რომელიც ფაშისტთა აეროდრომის ახლოს დაეშვა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე ცხენოსან პარტიზანთა ჯგუფმა იერიში მიიტანა იტალიელ კავალერისტთა პატრულზე. 11-ვე იტალიელი ჯარისკაცი მოსპობილ იქნა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ხელის ტყვიამფრქვევი და 3 ავტომატი. ყირიმში ამხ. ე-ს პარტიზანთა რაზმმა იერიში მიიტანა გერმანელთა ცხენის ალალზე, რომელსაც სურსათი მიჰქონდა, და მოსპო 22 საზიდარი. ყირიმელ პარტიზანთა რამდენიმე სხვა რაზმმა ერთი დღის განმავლობაში დახოცა 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი, დასწვა 11 ავტომანქანა და მოსპო 3 დაზგის ტყვიამფრქვევი.

* * *

16 ნოემბერს საფრანგეთში, რამდენიმე კილომეტრზე დიუნკერკთან, პა დე კალეს ნაპირას ძლიერი აფეთქება მოხდა გერმანელების მიერ ახლადაგებულ ფორტში. აფეთქებამ დაანგრია სამხედრო მასალის საწყობი და მწყობრიდან გამოიყვანა შორსმსროლელ ქვემეხთა ბატარია.

ჩვენი წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაიზარდა

(მოსკოვი „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის მისადგომებზე გრძელდება ბრძოლა, რომელიც უდიდესია ყველა იმ ბრძოლათაგან, რაც კი ოდესმე აქ მომხდარა. ბრძოლაში ჩაბმული და ამოძრავებულია ყველაფერი, რაც კი თანამედროვე სამხედრო ტექნიკას მოეპოვება.

მოსკოვი მზად არის სავსებით შეჭურვილი შეხვდეს მტერს. მოსკოვის გარშემო თავდაცვითი ზღუდის აგება მთავრდება. ზოგიერთ უბანზე სამუშაოები უკვე დამთავრებულია. ტანკსაწინააღმდეგო ორმოებმა, მავთულის ღობურებმა, რკინა-ბეტონისა და მიწურმა საცეცხლე წერტებმა—სიმაგრეთა მთელმა სისტემამ გადაუღობა მტერს გზა ჩვენი დედაქალაქისაკენ. სიმაგრეთა მშენებლებმა ფართოდ გამოიყენეს ადგილის რელიეფი, ეხამებოდნენ მას, ბუნებრივი დაბრკოლებების დამატებით აგებდნენ ხელოვნურ ზღუდეებს. ამ ნაგებობებს აშენებდა მრავალი ათეული ათასი მუშა, მუშა-ქალი, მოსამსახურე, დიასახლისი. ბევრმა მათგანმა, ვინც სიმაგრეებს აშენებდა, პირველად აიღო ხელში ნიჩაბი და წერაქვი, მაგრამ გადაჭარბებით ასრულებდა გამომუშავების ნორმებს. საუკეთესოდ გაართვეს თავი მუშაობას ქალებმა. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, სატრიკოტაჟო ფაბრიკის მხატვარი კრასნოვა, მასწავლებელი არაგიაშვილი, — ოცეულების მეთაურებად იყო და შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია.

თავდაცვის აგებული ზღუდეები მუშათა ბატალიონებს უჭირავთ. ისინი აკეთებენ საცხოვრებელ მიწურებს, სადაც თბილა და სისუფთავეა. ხდება სიმაგრეთა ათვისება. გამანადგურებელი მებრძოლები ვარჯიშობენ მიზნებზე გრანატების ტყორცნაში. მუშათა ბატალიონებში მთელ დღეს სწარმოებს საბრძოლო მეცადინეობა, რომელიც საბრძოლო ვითარებისადმი მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში მიმდინარეობს.

მუშა-მოსამსახურენი, სტუდენტები სწრაფად ეუფლებიან სამხედრო საქმეს და ფიცსა სდებენ დაიცვან დედა-ქალაქი. ასეთსავე ფიცს სდებენ გვარდიის მე-8 მსროლელი დივიზიის მებრძოლები. გაფთრებულ ბრძოლებში, რომლებიც დღედაღამ გრძელდება, ისინი შეუპოვარ და მამაცურ წინააღმდეგობას უწევენ მტერს. რამდენადმე გადმოიწიეს რა უკანასკნელ დღეებში მტრის ტანკების მასის მოწოლის გამო და დაიკავეს რა ახალი თავდაცვითი პოზიციები, ისინი წარმატებით ჰკაფავენ მტერს, დღითიდღე უფრო და უფრო ასუსტებენ მის საბრძოლო ძლიერებას.

„ჭეშმარიტად შესანიშნავია ის წინააღმდეგობა, — სწერს „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი, — რომელსაც მამაცი მტკიცე საბჭოთა ადამიანები უწევენ ფაშისტთა ტანკებს. დასავლეთის ფრონტის მთელ რიგ უბნებზე გერმანელთა ნოემბრის შემოტევის დასაწყისს ოქტომბრის შემოტევის დასაწყისს თუ შევადარებთ, შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ამჯერად გერმანელები ოთხჯერ უფრო ნელა ახერხებენ წინსვლას. შეიძლება აგრეთვე აღინიშნოს, რომ მტერს არაფერი გამოუდის მისი აჩემებული ხერხიდან — დაიწყოს შემოტევა დიდი სამხედრო შენაერთების გარემოცვით. მისი ცდები — მოსწყვიტოს საბჭოთა ჯარების ცალკეული დაჯგუფებანი მთავარ ძალებს — მარცხით მთავრდება. შეტევა სრულებითაც არ ვითარდება ისე, როგორც ეს გერმანიის სარდლობას სურს. გერმანელები ახლა შემოტევას აწარმოებენ მნიშვნელოვნად უფრო მეტი ძალებით, ვიდრე ოქტომბერში, მაგრამ ჩვენი წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაიზარდა“.

ახალი ბრძოლა მოსკოვისათვის უკვე ერთი კვირაა გრძელდება. წითელი არმია მამაცურად იღებს თავის თავზე მძიმე დარტყმებს, გზას ულობავს მტერს და ფუშავს მის გეგმებს. მაგრამ საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებს მოსკოვს, გაძლიერდა. „რარიგ ნელაც არ უნდა მოიწევდეს მტერი, — ნათქვამია „კრასნაია ზვეზდას“ მოწინავე სტატიაში, — იგი მაინც წინ მოიწევს. ამან გაადიდა მოსკოვისათვის შექმნილი საფრთხე ივნისთან და ოქტომბერთან შედარებით. ყოველი მეტრის გამოვლა აახლოვებს მტერს უშუალოდ ჩვენს დედაქალაქთან. ეს გვავალებს დაუყოვნებლივ გავაათკეცოთ მტრისადმი ჩვენი წინააღმდეგობის ძალა“.

დასავლეთის ფრონტის მეომრებს მტკიცედ სწამთ, რომ ისინი გაიმარჯვებენ ამ მძიმე მბრძოლაში მოსკოვისათვის, შესძლებენ უკუაგდონ მტერი და დასაწყისი მისცენ მის განადგურებას.

ვ. ყარა-მურზა.

უშიშარნი

მალოიაროსლავეცის მიმართულება, 22 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორისაგან). ფრონტის ამ უბანში შეუჩერებლივ სწარმოებს საარტილერიო და ნაღმსატყორცნთა დუელი და საბრძოლო დაზვერვა. მეთაურ გოლუბევის ნაწილები კვლავ ინარჩუნებენ და ამაგრებენ თავიანთ პოზიციებს.

მამაცურად იცავენ მშობლიურ დედაქალაქის მისადგომებს ამხ. მელიქიანის ნაწილის მეომრები, მეთაურები და პოლიტმუშაკები. უკანასკნელი სამი დღის ბრძოლებში მათ 700-ზე მეტი გერმანელი ოკუპანტი გაჟლიტეს.

მეტყვიამფრქვევე ათანასე გოლუბევმა ზუსტი სროლით ჩააჩუმა მტრის ნაღმსატყორცნთა ორი წერტი და უკუაქცია ფაშისტთა ქვეითი ჯარის დიდი ჯგუფი. ამით მან ჩვენს ქვეითს ჯარს გზა გაუკაფა წარმატებითი შეტევისათვის.

უკანასკნელ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელა თავი სანიტარმა ინსტრუქტორმა ალესეიჩმა. დაჭრილთა გადარჩენისათვის მას ორი დღე-ღამის განმავლობაში არ დაუტოვებია ცეცხლის ხაზი. ამ ხნის განმავლობაში ამხ. ალესეიჩმა ბრძოლის ველიდან გამოიყვანა 75 წითელარმიელი და მეთაური სრული საბრძოლო საჭურვლითურთ.

უკანასკნელი ცნობები

თურქეთში უამრავი გერმანელი „ტურისტი“ ჩავიდა

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი მეილის“ სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ თურქეთში, განსაკუთრებით კი სტამბოლში, უამრავი გერმანელი „ტურისტი“ გაჩნდა. კორესპონდენტმა საქმესთან გაცნობილ პირებისაგან შეიტყო, რომ ამ უკანასკნელ თვეში უცხოელებისათვის მიქირავებული აევჯით გაწყობილი ოთახებისა და ბინების 85 პროცენტი გერმანელებმა დაიკავეს. ყველა ამ „ტურისტს“ დიდი თანხები მოეპოვება და ხელგაშლით ხარჯავენ.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მან ბევრ „ტურისტში“ ის პირნი იცნო, რომლებიც 1940 წლის შემოდგომაზე მას უნახავს ბუქარესტსა და სოფიაში.

გერმანელთა ნაყალბევი

ანკარა, 23 ნოემბერი (საკდესი). გერმანელებმა, რომლებიც ყოვლად ურცხვი მეთოდებით ეწევიან თავიანთ პროპაგანდას, მორიგი ნაყალბევი გამოიყენეს. გაზეთმა „ანადოლუმ“ 19 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა გერმანული ფოტოსურათი წარწერით: „საბჭოთა პოლკის დროშა, რომელიც გერმანელებმა ხელთ იგდეს აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლის შედეგად“. ნამდვილად კი ფოტოსურათი გამოსახავს ორ გერმანელ ჯარისკაცს, რომლებსაც ხელში უკავიათ დროშა, ხოლო ამ დროშაზე შემდეგი წარწერა ძალიან კარგად მოსჩანს: „შიმსკის სარაიონო განათლების განყოფილების გარდამავალი დროშა საუკეთესო საშუალო სკოლას ჩინებული სწავლისათვის“. ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა გერმანელების ფოტონაჯღაბნი ჩაიფუშა. თავის დროზე ამერიკის პრესამ ამხილა გერმანელების ცდა პოლკის დროშად გაესაღებინათ პიონერული ბაირაღი, რომელიც მათ ხელთ იგდეს უკრაინაში.

საფრანგეთის გენერალი ოდიკი დე-გოლს მიემხრო

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ როგორც ლონდონში არსებული დე-გოლის შტაბი იუწყება, გენერალ დე-გოლს შეუერთდა გენერალი ოდიკი, რომელიც დაზავების შემდეგ დანიშნული იყო საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბის უფროსად, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა. ოდიკმა ვაშინგტონში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: ვიშის მთავრობას სურდა ჩრდილოეთ აფრიკა გადაეცა გერმანელებისათვის. დაზავების შემდეგ,—განაცხადა ოდიკმა, — მე იმედი მქონდა, რომ მაინც შესაძლებელი იქნებოდა ღირსეულად გავყოლოდი ვიშის მთავრობის პოლიტიკას. იმპერიის მთლიანობის შენარჩუნება ყველა ფრანგის გაერთიანების საფუძველი იყო. ხშირად ვფიქრობდი იმაზე, რომ თავისუფლება დამიბრუნდებოდა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ ჩრდილოეთ აფრიკის მთლიანობის შენარჩუნების შესაძლებლობა გვექნებოდა, და ეს მაჩერებდა. მაგრამ დღეს ერთიანობა აბსურდათ და ფიქციად იქცა, რადგან მას იმის მოსასპობად იყენებენ, რაც მის ნამდვილ მიზანს წარმოადგენს. სირიის გამცემლობის შემდეგ, ვიშის მთავრობას ახლა სურს ჩრდილოეთ აფრიკა გადასცეს გერმანელებს. გენერალი ვეიგანი გადადგა. დადგა დრო, რომ თვითეულმა ჩვენგანმა გადაწყვეტილება მიიღოს. ფრანგების ერთობას მხოლოდ თავისუფალი საფრანგეთი განამტკიცებს. გენერალ დე-გოლის ხელმძღვანელობით მე ახლა კვლავ ვიწყებ ბრძოლას.

150 სერბიელი მძევლის დახვრეტა

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ზაგრებელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ორ გერმანელ ჯარისკაცზე თავდასხმისათვის რეპრესიების სახით გერმანელებმა 150 სერბიელი მძევალი დახვრიტეს.

იაპონია-ამერიკის მოლაპარაკების გამო

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი კროკი აფრთხილებს ტოკიოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოზიციები შორეულ აღმოსავლეთში ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად შეიცვალა. წინათ, — სწერს იგი,—ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ფილიპინებს ვერ დაიცავდნენ. ამჟამად კი ინგლის-ამერიკის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობა და ამერიკის ბომბდამშენთა დიდი შენაერთების კონცენტრაცია ფილიპინებზე ამერიკის შეერთებულ შტატებს აძლევენ არა მარტო ფილიპინების დაცვის, არამედ იმის საშუალებასაც, რომ გამოიყენოს იგი შორეულ აღმოსავლეთში აგრესიის წინააღმდეგ ოპერაციების ბაზად.

გებელსის ისტერიული წერილი

ჟენევა, 22 ნოემბერი (საკდესი). ფაშისტური გერმანიის მძიმე მდგომარეობამ გამოხატულება ჰპოვა ფაშისტთა ლიდერების მთელ რიგ სიტყვებსა და წერილებში პრესის ფურცლებზე. გებელსმა გაზეთ „დას რაიხში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც მოწმობს, რომ ფაშისტთა მეთაურებს ისტერიკა მოსდით.

გებელსი თავის წერილში, უწინარეს ყოვლისა, ცდილობს ომით დაღლილ და მშიერობიანობას მოწყურებულ გერმანელ ხალხს დაუმტკიცოს, რომ გერმანიისათვის ერთადერთი გამოსავალია... ახლანდელი ომის განგრძობა. „ჩვენ მეტი გზა არა გვაქვს, — ისტერიულად გაიძახის გერმანიის პროპაგანდის მინისტრი.—ვერაფერს ვერ შევცვლით და ვერაფერს ვერ გადავდებთო“.

გებელსი გერმანიის მოსახლეობას დამარცხების პერსპექტივით აშინებს. „ომის წაგებით, ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ. დამარცხება ჩვენ დაგვღუპავსო“.

მაგრამ ნაცისტების მინისტრს ესეც არასაკმაოდ მიაჩნია. იგი კიდევ უფრო შავბნელ პერსპექტივებს ხატავს და იქამდე მიდის, რომ გერმანიის მოწინააღმდეგეთ მიაწერს, მათ განზრახული აქვთ გერმანიის მოსახლეობის ზრდის შეზღუდვა და „60 წელზე უფრო ახალგაზრდა ყველა მამაკაცის სტერილიზაციაო“.

ომის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ გებელსი იძულებული გახდა ელიაარიზინა კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიაც გერმანელები ჩავარდნენ საბჭოთა კავშირთან ომის მსვლელობაში. გებელსი ერთმანეთს ადარებს გერმანიის 1939 წლის და 1941 წლის მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნავს, თუ „რამდენად უმნიშვნელო იყო 1939 წლის პრობლემები ამ კამპანიის გიგანტურ ამოცანებთან შედარებით“.

სწორედ ასევე ომიანობის დროის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როდესაც გებელსი იძულებული ხდება აღიაროს, რომ გერმანელი ხალხი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ ფაშისტი ქადაგი გერმანელებს იმით ანუგეშებს, რომ გერმანიის მიერ განადგურებული და დამონებული სხვა ქვეყნების მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეაო.

„ომი ყველა ჩვენგანისაგან მძიმე მსხვერპლს მოითხოვს,—სწერს იგი,—მაგრამ ჩვენსაზე გაცილებით მეტია ის მსხვერპლი, რომელსაც დამარცხებული ხალხები იღებენ. ის გაჭირვება და სიძნელეები, რომლებსაც ჩვენ ომის დროს ვხვდებით, არაფრად გვეჩვენება იმ ჯოჯოხეთთან შედარებით, რომელიც ჩვენ მოგველის, თუ ომს წავაგებთ“.

გრძნობს რა, რომ გერმანელი ხალხი პირდაპირ აყენებს კითხვას: „როდისღა გათავდება ომი?“, გებელსი ცდილობს უპასუხოს ცინიკური განცხადებით: „ომის საკითხს, თუ როგორ დამთავრდება ომი, გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმის საკითხს, თუ როდის დამთავრდება ომი“.

ინგლისელთა ოპერაციები ლიბიაში

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ დასავლეთ უდაბნოში წარმოებული ოპერაციების ერთერთ დამახასიათებელ თავისებურებას, როგორც ლონდონში აღნიშნავენ, წარმოადგენს მტრის სუსტი წინააღმდეგობა ჰაერში. არ ჩანს არავითარი ცდა შეეცილონ ინგლისს ჰაერში ბატონობის მხრივ.

ქაირიდან იუწყებიან, რომ 2 დღის განმავლობაში მტრის ავიაციის აქტივობა უმნიშვნელო იყო, შესაძლოა იმ ძლიერი წვიმების შედეგად, რაც სანაპირო რაიონში მოვიდა და რამაც, ალბათ, გააფუჭა აეროდრომები. უკანასკნელ დღეებში ეს აქტივობა გაძლიერდა. საბოლოოდ გამორკვეულია, რომ მოსპობილია მტრის 75 თვითმფრინავი. ამას გარდა, შესაძლოა მოსპობილია კიდევ 19 თვითმფრინავი. საიმპერიო სამხედრო-საჰაერო ძალთა ავიაციამ დაჰკარგა 19 თვითმფრინავი, ამასთან რამდენიმე თვითმფრინავი გადარჩა, ხოლო შესაძლოა ზოგიერთი მანქანა კიდევ იქნას გამოყენებული.

საომარი მოქმედება ლიბიაში

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 21 ნოემბრის განმავლობაში დაბომბილ იქნა თვითმფრინავების დასაშვები და ასაფრენი მოედნები ელ-გაზალში, მტრის ტანკებისა და მოტოტრანსპორტის თავმოყრის ადგილები ბირ-ჰაშეიმში, სამხედრო ობიექტები ბარდიასა, მენასტირსა და კაპუცოს ფორტის რაიონში. ბრძოლის დროს მოსპობილია მტრის 7 თვითმფრინავი.

როგორც ახლა გამოირკვა, 20 ნოემბერს ჩამოგდებულია გერმანიის არა 24 თვითმფრინავი, არამედ 37 თვითმფრინავი. ყველა ამ ოპერაციის დროს ინგლისის ავიაციამ 5 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ლიბიის ფრონტზე ბრძოლა უმთავრესად სწარმოებს კაპუცოს ფორტსა, გაბრ-სალეხსა (ტობრუკის სამხრეთ აღმოსავლეთით 45 მილზე) და სიდი-რეზეხს შორის მდებარე სამკუთხედში. 20 ნოემბერს დიდ სივრცეზე გაჩაღდა სატანკო ბრძოლა. გერმანიის ძირითად სატანკო ძალთა ყოველგვარი ცდა—დასავლეთისაკენ გაჭრილიყვნენ მარცხით დამთავრდა.

21 ნოემბერს დილით საიმპერიო ჯარებმა, რომლებიც ბრძოლას ტობრუკის მხრიდან აწარმოებენ, დაიწყეს ოპერაციები, რაც მიმართულია იქითკენ, რომ შეუერთდნენ ინგლისელთა იმ ძალებს, რომლებმაც სიდი-რეზეხი დაიკავეს.

ლიბია-ეგვიპტის საზღვრის რაიონში ინგლისის ჯარის ნაწილები 21 ნოემბრის განმავლობაში განაგრძობდნენ მტრის იმ ძალების გარშემორტყმას, რომლებიც ჰალფაიას გასასვლელსა და სიდი-ომარს შორის მდებარე გამაგრებულ უბანს იცავენ.

რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამერიკული წარმოების ტანკები. როგორც ფიქრობენ, მტრის მხრით ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა გერმანელთა 2 და იტალიელთა ერთი ჯავშანსატანკო დივიზიები. მაგრამ იტალიის ტანკები დღემდე არ იჩენენ განსაკუთრებულ აქტივობას. როგორც ჩანს, გერმანელებს კიდევ აქეთ ტანკების ერთგვარი რეზერვები ბაზებში.

როგორც ახლა მიღებული ცნობიდან ჩანს, ახალი ზელანდიის ნაწილებმა დაიკავეს კაპუცოს ფორტი (ლიბია-ეგვიპტის საზღვართან).

ინგლისის ჯარებმა ხელთ იგდეს ბარდია და სიდი-ომარი. ინგლისის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს სიდი-ომარ-ნუოვო (სიდი-ომარის ჩრდილოეთით 9 მილზე) და თანდათანობით აფართოებენ თავიანთი მოქმედების რაიონს მტრის თავდაცვითი პოზიციების ზურგში ჰალფაიასა და სიდი-ომარს შორის.

მთავარი სატანკო ბრძოლა გაჩაღდა სიდი-რეზეხის რაიონში. ეს ბრძოლა განუწყვეტლივ გრძელდებოდა წუხელ მთელი ღამის განმავლობაში და 23 ნოემბერს დილით.

ახალი ზელანდიის ჯარებმა, განსაკუთრებით მძიმე მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, 22 ნოემბერს საღამოსათვის მიაღწიეს გამბატს სამხრეთით მდებარე პოზიციებს.

ინგლისის ჯარის ნაწილებმა, რომლებიც ტობრუკიდან გამოვიდნენ და წინსვლას განაგრძობენ, კვლავ ხელთ იგდეს რამდენიმე ასეული ტყვე, უმთავრესად გერმანელები.

ინგლისის ავიაცია 22 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ მიჰქონდა იერიში მცველავი ფრენით მტრის ტანკებსა, ჯავშნიან მანქანებსა და ავტოტრანსპორტზე.

ცნობილი გერმანელი მფრინავის დაღუპვა

ჟენევა, 23 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის ოფიციალური ცნობების თანახმად, 22 ნოემბერს გაფრენის დროს დაიღუპა ცნობილი გერმანელი გამანადგურებელი მფრინავი მელდერსი.

გერმანელი გენერლის დაღუპვა

ბერნი, 23 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობებით 20 ნოემბერს აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლაში დაიღუპა საარმიო კორპუსის სარდალი გენერალი ფონ ბრიზენი.

ფაშისტთა აგენტების გაძევება ეკვადორიდან

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის კორესპონდენტი ბალდადიდან იუწყება, იქ ჩავიდა 50 გერმანელი ეკვადორიდან გადასახლებულ პირთაგან. ამ ჯგუფის შემდგომი მარშრუტი თურქეთზე გადის.

ანტისემიტური კანონები ბულგარეთში

სოფია, 22 ნოემბერი (საკდესი). ბულგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება გასცა შინამრეწველ ებრაელთა სავაჭრო საქმიანობის შეზღუდვის შესახებ. შინამრეწველ ებრაელებს უფლება აქვთ გაჰყიდონ მხოლოდ საკუთრივ მათ მიერ გამომუშავებული პროდუქცია.

დანიის საქმეთა რწმუნებულმა ირანში ურთიერთობა გასწყვიტა თავის მთავრობასთან

ლონდონი, 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში მიღებულია ცნობა, რომ დანიის საქმეთა რწმუნებულმა ირანში ფენსმარკმა ურთიერთობა გასწყვიტა კოპენჰაგენის მთავრობასთან, რომელიც გერმანიის კონტროლქვეშ იმყოფება. ფენსმარკმა მიჰბაძა დანიის ვაშინგტონელ ელჩს, რომელმაც აგრეთვე უარი განაცხადა იმაზე, რომ თავის მთავრობას დამორჩილებოდა. ფენსმარკის სიტყვით, ამ საქციელის საფუძველი ის გარემოება გახდა, რომ გერმანელებმა აიძულეს დანია ეცნო ხორვატიის მთავრობა და მანჯოუ-გო და ურთიერთობა გაეწყვიტა საბჭოთა კავშირთან. როგორც ფენსმარკი აღნიშნავს, დანიის მთავრობა უკვე აღარ არის დანიის ხალხის უმეტესი ნაწილის შეხედულების გამომხატველი.

პოლონეთის ინფორმაციის მინისტრის სტრონსკის გამოსვლა

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). პოლონეთის ინფორმაციის მინისტრმა პროფესორმა სტრონსკიმ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის შესახებ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ტრანსლირებულ იქნა ინგლისის რადიომაუწყებლობის კომპანიის მიერ. თავის სიტყვაში სტრონსკიმ სთქვა: „ბევრი შემცდარი აზრი და წინასწარმეტყველება არსებობდა ამ ომის ხანგრძლივობის შესახებ. იყვნენ ადამიანები, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ, რომ ომი რამდენიმე კვირას გაგრძელდებაო. საბჭოთა რუსეთმა ჰიტლერს სიურპრიზი მოუმზადა. მას იმედი ჰქონდა, რომ ბოლშევიკთა ჯარისკაცები არ იომებდნენ, მაგრამ პირისპირ შეხვდა საბჭოთა ჯარისკაცებს, რომლებიც გმირულად, გონივრულად და გააფთრებით იბრძვიან და თავიანთ სამშობლოს იცავენ. ჰიტლერი აგრეთვე ჰფიქრობდა, რომ საბჭოთა ჯარისკაცებს იარაღი არ ექნებათო. მაგრამ იგი ანგარიშში მოსტყუვდა. ჯავშნიან მანქანებს მოუხდათ ბრძოლა ჯავშნიანი მანქანების წინააღმდეგ, ტანკებს—ტანკების წინააღმდეგ, თვითმფრინავებს —თვითმფრინავების წინააღმდეგ. ორი წლის ომის განმავლობაში ჰიტლერმა ორი შეცდომა დაუშვა. პირველად იგი შესცდა, როდესაც საჰაერო ომი დაიწყო ინგლისის წინააღმდეგ და წააგო იგი. შემდეგ მან დაუშვა მეორე შეცდომა, როდესაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყო ომი, რომლის მოგებაც მას არ შეუძლია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახლანდელი მასშტაბებით წარმოებული ომის პირობებში მარტო ერთი ასეთი შეცდომა საკმარისია იმისათვის, რომ მარცხით დამთავრდეს აგრესორთა ყოველგვარი დაპყრობლური გეგმები. ხოლო ორი ასეთი შეცდომა დამარცხებას უდრის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

5 თვის ომის შემდეგ, რომლის დროსაც გერმანიის ზარალი მოკლულთა და დაჭრილთა სახით მილიონობით განისაზღვრება და უახლოვდება იმ ზარალს, რაც გერმანიამ წინანდელი ომის მთელი 4 წლის განმავლობაში ნახა, საბჭოთა რუსეთი კვლავ მედგრად იცავს თავს.

სურსათის სისრულისათვის საჭიროა ითქვას, რომ ჰიტლერი ანგარიშში მოსტყუვდა არა მარტო სამხედრო მხრივ, როდესაც რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო, იგი აგრეთვე ანგარიშში მოსტყუვდა პოლიტიკურადაც. ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ იგი შესძლებდა რუსეთში თავისი მტაცებლური შეჭრა გადაექცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთელი ევროპის საერთო კამპანიად, მაგრამ მთელმა ევროპამ ზიზღით უარჰყო ეს ლაშქრობა, როგორც უსირცხვილო მოტყუება. ჰიტლერს აგრეთვე იმის იმედი ჰქონდა, რომ საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგის გამო ამერიკა მერყევ პოზიციას დაადგებოდა, მაგრამ ამ მოსაზრების პასუხი სავსებით ნათელია რუზველტის იმ გარკვეული პოზიციიდან, რომელიც მან გერმანელთა წინააღმდეგ დაიკავა.

იაპონიის პარლამენტის 77-ე საგანგებო სესიის დახურვა

ტოკიო. როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, იაპონიის პარლამენტის 77-ე საგანგებო სესიამ გუშინ მუშაობა დაამთავრა. სესიამ განიხილა და მიიღო მთავრობის მიერ შეტანილი ყველა 13 კანონპროექტი. სესიის დახურვისას მოკლე სიტყვით გამოვიდა პრემიერი ტოჯიო.

გენერალი უეიველი წითელი არმიის შესახებ

ნიუ-იორკი. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ დელის (ინდოეთი) კორესპონდენტთან ინტერვიუში გენერალმა უეიველმა მაღალი შეფასება მისცა წითელ არმიას. „მე ყოველთვის აღტაცებული ვიყავი რუსებით, როგორც მებრძოლებით, — სთქვა მან, — დღეს მათი მოქმედება ძლიერი მტრის წინააღმდეგ ჭეშმარიტად შესანიშნავია“.

უეიველმა აგრეთვე განაცხადა, რომ სინგაპურისა და ბირმის თავდაცვა უაღრესად გაძლიერებულია. მან ქებით მოიხსენია ინდოეთის ჯარები და ინდოეთის სამხედრო მრეწველობა.

ინგლისელების შეტევა ლიბიაში

ლონდონი. რეიტერის სააგენტო ქაირიდან გადმოსცემს, რომ, როგორც ავტორიტეტულ წრეებში იუწყებიან, 21 ნოემბრის მეორე ნახევარში ბრძოლა ლიბიაში გაჩაღებული იყო და უაღრესად წარმატებით მიმდინარეობდა. ინგლისელების შეტევის დაწყებიდან გერმანელებმა ნახევარი თავისი ტანკები დაჰკარგეს.

ინგლისის ჯარებმა ბარდია დაიკავეს

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ბარდია. ამავე დროს იუწყებიან, რომ ინდოეთის ჯარებმა დაიკავეს სიდი-ომარ-ნუოვო, რომელიც სიდი-ომარის ჩრდილოეთით 14 კილომეტრზე მდებარეობს.

ინგლისის ავიაგამანადგურებლების მოქმედება დასავლეთ უდაბნოში

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იუწყება ინგლისის „ბრისტოლ ბოფაიტერის“ ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიის წარმატებითი მოქმედების შესახებ დასავლეთ უდაბნოში. 5 დღის განმავლობაში ამ ესკადრილიამ, რომელსაც არცერთი მანქანა არ დაუკარგავს, ჩამოაგდო მტრის 8 თვითმფრინავი და მიწაზე მოსპო 28 თვითმფრინავი.

შეხვდნენ რა ჰაერში ბარკას ახლოს გერმანიის 5 სატრანსპორტო თვითმფრინავს „იუნკერს—52“, ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა მოსპეს მთელი ჯგუფი. ამას გარდა, ესკადრილიამ ამავე დროს მოსპო 20 სატვირთო და 5 მსუბუქი მანქანა და საწვავით დატვირთული 4 ტანკერი.

„ბრისტოლ ბოფაიტერი“ არის მოქმედების დიდი რადიუსის ავიაგამანადგურებელი, რომელიც შეგუებულია ღამითა და დღისით მოქმედების პირობებისადმი. ეს მონოპლანია, რომელსაც საათში 530 კილომეტრის სიჩქარე აქვს, იგი შეიარაღებულია 4 ზარბაზნით და 6 ტყვიამფრქვევით. ეკიპაჟი 2 კაცისაგან—მფრინავისა და შტურმან-მეთოფეყურისაგან შესდგება.

თავდასხმა გემ „ბაროზე“ შავ ზღვაში

ლონდონი. როგორც ჰავას-ოფის სააგენტო სტამბოლიდან იუწყება, გამოურკვეველი ეროვნების წყალქვეშა ნავი შავ ზღვაში თავს დაესხა სამგზავრო გემ „ბაროს“, რომელიც ბურგასიდან სტამბოლში მიდიოდა.

ნეიტრალური ქვეყნების მეთვალყურენი გენერალ ვეიგანის გადადგომის მიზეზის შესახებ

ნიუ-იორკი. გაზ. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, ნეიტრალური ქვეყნების მეთვალყურეთა წრეებში ფიქრობენ, რომ ვეიგანი ჩამოაყენეს იმიტომ, რომ ლიბიაში მყოფ გერმანიის ჯარებს საშუალება მისცენ დაიხიონ საფრანგეთის ტუნისში, ან მაროკოში, რადგან ინგლისის ჯარებს უპირატესობა აქვთ გერმანიის ჯარებთან შედარებით.

ფილიპინის 20 ათასი ოფიცერი და ჯარისკაცი შევა ამერიკის არმიის შემადგენლობაში

ნიუ-იორკი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო მანილიდან იუწყება, ამერიკის შეიარაღებულ ძალთა სარდლობამ გამოაცხადა, რომ 24 ნოემბერს ამერიკის არმიის შემადგენლობაში შევა ფილიპინის 20 ათასი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებიც შეადგენენ 8 ქვეითს და 6 საარტილერიო პოლკს. ფილიპინის არმიის 10 სარეზერვო დივიზიის ორგანიზაცია თითქმის უკვე დამთავრებულია.

(მიღებულია რადიოთი სახრადიოკომიტეტის მიერ).

თურქული გაზეთები გერმანიის „გენერალური შეტევის“ ჩაშლის შესახებ

სტამბოლი, 22 ნოემბერი (საკდესი). თურქეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მატულობს ის სიძნელეები, რომელთა წინაშეც გერმანია აღმოჩნდა. ასიმ უსი გაზეთ „ვაკიტში“ მიუთითებს ჰიტლერის მიერ დაწყებული „გენერალური შეტევის“ ჩაშლაზე და სწერს, რომ ახლა „გერმანიის სარდლობა, უნდა თუ არ უნდა, იძულებულია ემზადოს დიდი საომარი მოქმედებისათვის მომავალი წლის გაზაფხულსა და ზაფხულში“. ამავე დროს ავტორი აღნიშნავს, რომ გერმანიის ზურგი სულ უფრო და უფრო არაკეთილსაიმედო ხდება. ევროპის მეურნეობა, მით უმეტეს ოკუპირებული ქვეყნებისა და ოლქების მეურნეობა, დანგრეულია. ევროპის მოსახლეობა არაადამიანურ ტანჯვას განიცდის.

„როდესაც ყოველივე ამას უცქერ,—სწერს ავტორი,—ძალაუნებურად გებადება აზრი — როგორ შესძლებს გერმანია ომის განგრძობას. როგორ შეუძლია მას იქონიოს იმის იმედი, რომ თავისათვის ამუშაოს უკმაყოფილო ადამიანები, რომელთა რიცხვი ევროპაში რამდენიმე ასეულ მილიონს უდრის“.

გაზეთ „ენი საბახის“ რედაქტორი ჯაჰიდ იალჩინი, ანალიზს უკეთებს რა შექმნილ ვითარებას, სწერს: „მალე დამთავრდება 22-ე კვირა ომისა, რომლის დაწყების დროს ღერძის სახელმწიფოები ამაყად აცხადებდნენ, რუსებს 6 კვირაში მოვუღებთ ბოლოსო. უკანასკნელად, ესე იგი, 50 დღის წინათ, ჩვენ გავიგონეთ, რომ დაიწყო „უკანასკნელი“ შეტევა. ომის დროს ბევრი რამ მოხდა. გერმანელთა სიტყვით, მათ ტყვედ ჩაიგდეს რამდენიმე მილიონი კაცი, გაარღვიეს უამრავი ფრონტი, გარშემოერტყნენ და მოსპეს ურიცხვი არმიები, ხოლო რუსების წინააღმდეგობა ამის გამო კიდევ უფრო ძლიერი გახდა. თუ ყოველივე ის, რასაც ჩვენ გვეუბნებოდნენ, მართალია, მაშინ ეს მაკები თუ აჩრდილები იცავენ ახლა რუსეთის სახელმწიფოს?“

დასასრულ ჯაჰიდ იალჩინი სწერს, რომ „რუსეთის ომის გაჭიანურება იწვევს მხოლოდ ერთ შედეგს—გერმანიის დამარცხების გარდუვალობას“.

მეცნიერ მუშაკთა საერთო-საქალაქო თათბირი

უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია თბილისში ატარებენ მეცნიერ მუშაკთა საერთო-საქალაქო თათბირს, რომელიც მიძღვნილია ომის მოთხოვნებთან დაკავშირებით ადგილობრივი რესურსების შესწავლის და გამოყენებისა და წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებისადმი.

მოხსენებებს თემაზე: „საქართველოს სსრ ადგილობრივი საწარმოო ძალების შესწავლა და გამოყენება და საქ. მეცნიერ მუშაკთა ამოცანები“ გააკეთებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ჯ. თარგამაძე და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საწარმოო ძალების შესწავლის საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ა. თვალჭრელიძე.

თათბირი ჩატარდება მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) 27 ნოემბერს, საღამოს 7½ საათზე.

დიდი კონცერტი

საქრადიოკომიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით 26 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში, (რუსთაველის ქ. № 21) გაიმართება დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქრადიოკომიტეტის სიმფონიური ორკესტრი ბ. პონომარენკოს, გუნდი ხახანაშვილის, მეჩონგურეთა ანსამბლი ა. ფოცხვერაშვილის და ქალაქური სიმღერების ანსამბლი ნ. ჩუტიას ხელმძღვანელობით; სოლისტები: თ. ბახტაძე, ვ. ბექშანოვა, ბერმანი, ა. ვარდიაშვილი, ლ. გერმესაშვილი, მ. კამოევა, პოპოვი, ა. სმეტანკინა, ჰ. ცოპიკი, მ. ფერკელმანი.

მთელი შემოსავალი გადარიცხული იქნება საქ. კომკავშირის სახელობის სატანკო კოლონისა და სატორპედო კატერების მშენებლობის ფონდში.

თეატრებში

საოპერა — 25 ნოემბერს — „ტრავიატა“. **რუსთაველის სახელობის** — 25 ნოემბერს — „ღალატი“, 26 ნოემბერს — „რღვევა“, 27 ნოემბერს — „ოტელო“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 25 ნოემბერს — „მარგარიტა გოტიე“, 26 ნოემბერს — „მკაცრი ქალიშვილები“, 27 ნოემბერს — „ურიელ აკოსტა“. **სანკულტურის ქართული თეატრი** — 25 ნოემბერს — „აჯილდა“, 27 ნოემბერს — „გაგრძელება იქნება“, 29 ნოემბერს—„სტუმარ-მასპინძლობა“. **მუსიკალური კომედიის** — 26 ნოემბერს — „თივა და ავი ძაღლი“, 27 ნოემბერს — „აყვავებული ბაღი“, 28 ნოემბერს — „ცისფერი კლდეები“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 25 ნოემბერს — „გაიდარი“ (მე-38 აბ., დასაწყ. საღ. 7 ს.), 26 ნოემბერს — „გაიდარი“ (მე-37 აბ., დასაწყ. საღ. 7 ს.), 27 ნოემბერს — „ცისფერი ხალიჩა (მე-11 აბ. დასაწყ. დღის 4 ს.).

ლექცია

26 ნოემბერს, საღ. 8 ს. 30 წ., სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში (მარის ქ. № 1) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია რუსულ ენაზე. თემა—„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“.

ბილეთების შეძენა შეიძლება ორჯონიკიძის რაიაგიტპუნქტში.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2841034, გაცემული ნინო ეფრემის-ასულ იკოშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1541381, გაცემული სოლომონ გრიგოლის-ძე ბუაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „ოპენჰეიმის ოჯახი“, **ოქტომბერი** — „კოლეჟსკი რეგისტრატორი“, **დამკვრელი** — „ქარიყლაპიას ბრძანებით“, **სპარტაკი** — „თავადის ასული მერი“, **ლუქსემბურგის სახ.**—„რუსლან და ლიუდმილა“, **26 კომ. სახ.**—„მუსიკალური ისტორია“, **კომინტერნი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“.

თბილისის სახცირკი

დიდი საცირკო სანახაობა. გრძელდება ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

26 ნოემბერს ჭიდაობენ: ოსმან აბდურახმანოვი — ყარა მუსტაფა, ვსევოლოდ ხერცი — ბიკოვი, შევჩუკი — დოვიდჩენკო.

27 ნოემბერს ჭიდაობენ: ოსმან აბდურახმანოვი — შევჩუკი, დენისოვი — ტიურინი, შევჩენკო — ყარა მუსტაფა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი იუწყება გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის უფროსი ბუღალტრის

ალექსანდრე იოსების-ძე სამხარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში 27/XI. 12540

საბჭოთა შამპანურის წარმოების საქართველოს კომბინატი იუწყება

გიორგი ალმასხანის-ძე ახალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/XI 5 ს. ანანურის შეს. 6. 12539

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. უე 43454